

სს „თურქეთის ავიახაზების თბილისის ფილიალი“

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
ფინანსური ანგარიშგება	
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	4

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „თურქეთის ავიახაზების თბილისის ფილიალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს პროგნოზირებად მომავალში საქმიანობის შეჩერებას. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
 - ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
 - სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
 - კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
 - თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, ხელმძღვანელობის მიერ.

დირექტორი:

შერაფეთთინ ექიჯი

სს თურქეთის ავიახაზების თბილისის ფილიალი
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთ. ლარი)

		2019წ	2018წ
ამონაგები	შენიშვნა	8,425,820	7,679,967
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		0	0
საერთო მოგება		8,425,820	7,679,967
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		(42,304,999)	(39,229,328)
სხვა შემოსავლები		33,879,179	31,549,361
ფინანსური ხარჯი		0	0
მოგება დაბეგვრამდე		0	0
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
პერიოდის მოგება		0	0
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში		0	0
დაუფარავი ზარალი წლის დასაწყისში		0	0
სხვა რეზერვები და დაფინანსებაში გადასატანი თანხა წლის ბოლოს		0	0
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს		0	0

დირექტორი: შერაფეთთინ ექიჯი

სს თურქეთის ავიახაზების თბილისის
ფილიალი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,133,949	436,720
საინვესტიციო ქონება		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,133,949	436,720
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები		976,309	1,015,971
სავაჭრო მოთხოვნები		0	0
გადახდილი ავანსები		0	0
საგადასახადო აქტივები		40,297	245,143
სხვა მიმდინარე აქტივები		1,369,050	634,640
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,385,656	1,895,754
სულ აქტივები		3,519,605	2,332,474
კაპიტალი			
სხვა რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი		0	0
რეზერვები და დაფინანსება		695,222	0
გაუნაწილებელი მოგება		0	0
სულ კაპიტალი		695,222	0
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		0	0
სავაჭრო ვალდებულება		2,824,383	2,332,474
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
სხვა ვალდებულებები		0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,824,383	2,332,474
სულ ვალდებულებები		3,519,605	2,332,474
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,519,605	2,332,474

დირექტორი: შერაფეთთინ ექიჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის

1 ზოგადი ინფორმაცია

სს „თურქეთის ავიახაზების თბილისის ფილიალი“, რომლის სამართლებრივი ფორმაა უცხოური საწარმოს ფილიალი (წარმომადგენლობა), (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 1997 წლის 16 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.თბილისი თელავის ქ.# 20, ხოლო საქმიანობის ადგილია: ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი #147. ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს საჰაერო სამზავრო ტრანსპორტით მომსახურება და ავიაბილეთების რეალიზაცია. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 206056284.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

	2019 წ.	2018 წ.
აქციონერი:		
სს თურქეთის ავიახაზები (ს/ნ 8760047464)	100%	100%

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები

მსს ფასს-ის პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. ახალ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი და მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის სათანადო მოთხოვნების მიხედვით. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურეობა და ავიაბილეთების რეალიზაცია.
- მოსალოდნელია საქმიანობის რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია).
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად. კომპანიის შემთხვევაში გრძელვადიანი ვალდებულებები არ ფიქსირდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	2019-2018 წელი
შენობა -ნაგებობები	40
კომპიუტერული ტექნიკა	5-7
მსუბუქი ავტომობილები	7-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7-10

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი(რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო რირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისათვის, როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება: ამონაგები მომსახურეობიდან და ამონაგები ავიაბილეთების რეალიზაციიდან.

მომსახურეობიდან შემოსავლების (გადაზიდვების ნაწილში) აღიარება ხდება მომსახურეობის დასრულების დროს. ხოლო რაც შეეხება ავიაბილეთების გაყიდვიდან ამონაგების აღიარებას შემოსავალში ჩაირთვება, მაშინ როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს მგზავრობის უფლებას. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

3.3 სხვა შემოსავალი

კომპანია არ არის ორიენტირებული მოგებაზე, რადგან საერთაშორისო ფრენებზე გაწეული მომსახურების თანხები აღემატება საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული ამონაგების თანხებს და შესაბამისად გაწეული ხარჯების ანაზღაურება სრულად ხდება სათაო საწარმოს (სს თურქეთის ავიახაზების) მიერ.

3.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები სხვა ვალუტაში კომპანიის შემთხვევაში (თურქული ლირა) განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში ფულადი სახსრების ნაშთი არ ირიცხებოდა.

გადასახადები

კომპანია მოგების გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებულია საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის გაფორმებული ხელშკრულების თანახმად, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 2004 წლის 4 მაისის # 29 დადგენილების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან ვალდებულება.

სხვა გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში არსებული ფულისაგან და ბანკის ანგარიშებისაგან.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურება. ფინანსური ვალდებულებებისა და ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით, რომელსაც ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მათ შემენასთან. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია შემდეგნაირად (გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელის წარმოიშვებოდა ინსტრუმენტის გაყიდვისას ან სხვა ფორმით გასვლისას):

სავალო ინსტრუმენტები_ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გარდა სავალო ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ესენი შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

4 ამონაგები	2019წ	2018წ
ამონაგები რეალიზაციიდან	8,425,820	7,679,967
სულ ამონაგები	8,425,820	7,679,967

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი*(ერთეული ლარი)*

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2019 წ.	2018 წ.
ხელფასის ხარჯი	2,352,320	1,725,449
იჯარის ხარჯი	54,647	50,098
რეკლამის ხარჯი	11,119	10,762
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	578	2,590
ცვეთის ხარჯი	22,323	13,102
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	12000	12000
თვითმფრინავების მომსახურების ხარჯი	31,310,129	27,033,067
კომუნიკაციის ხარჯი	21,436	18,557
მომსახურების ხარჯი	101,482	131,975
ბიზნეს დარბაზისა და ეკიპაჟის მომს. ხარჯი	1,308,952	1,060,540
დაცვის მომსახურების ხარჯი	30,725	30,508
აეროპორტის სხვა მომსახურების ხარჯი	7,035,002	9,108,852
სხვა ხარჯი	44,286	31,828
სულ საოპერაციო ხარჯი	42,304,999	39,229,328

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ
მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

დირექტორი: შერაფეთთინ ექიჯი

სს „თურქეთის ავიახაზების თბილისის ფილიალი“


ფინანსური ანგარიშგება

სს თურქეთის ავიახაზების თბილისის ფილიალი
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთ. ლარი)

		2019წ	2018წ
ამონაგები	შენიშვნა	8,425,820	7,679,967
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		0	0
საერთო მოგება		8,425,820	7,679,967
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		(42,304,999)	(39,229,328)
სხვა შემოსავლები		33,879,179	31,549,361
ფინანსური ხარჯი		0	0
მოგება დაზღვევამდე		0	0
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
პერიოდის მოგება		0	0
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში		0	0
დაუფარავი ზარალი წლის დასაწყისში		0	0
სხვა რეზერვები და დაფინანსებაში გადასატანი თანხა წლის ბოლოს		0	0
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს		0	0

დირექტორი:

შერაფეთთინ ექიჯი

სს „თურქეთის ავიახაზების თბილისის ფილიალი“

ფინანსური ანგარიშგება

სს თურქეთის ავიახაზების თბილისის
ფილიალი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,133,949	436,720
საინვესტიციო ქონება	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,133,949	436,720
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	976,309	1,015,971
სავაჭრო მოთხოვნები	0	0
გადახდილი ავანსები	0	0
საგადასახადო აქტივები	40,297	245,143
სხვა მიმდინარე აქტივები	1,369,050	634,640
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,385,656	1,895,754
სულ აქტივები	3,519,605	2,332,474
კაპიტალი		
სხვა რეზერვები		
საწესდებო კაპიტალი	0	0
რეზერვები და დაფინანსება	695,222	0
გაუნაწილებელი მოგება	0	0
სულ კაპიტალი	695,222	0
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სასესხო ვალდებულებები	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულება	2,824,383	2,332,474
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,824,383	2,332,474
სულ ვალდებულებები	3,519,605	2,332,474
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3,519,605	2,332,474

დირექტორი: შერაფეთთინ ექიჯი



